საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/688
06/02/2023

688-21-2-202302061748

შპს „რეციკლინგს“
მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N24ა
ელ.ფოსტა: hakan@bars.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 16 იანვარს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. N7-ში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს „რეციკლინგის“ საკუთრებას, თუმცა, თანდართული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია საწარმო, წარმოადგენს შპს ჰაქან იავუზის საკუთრებას. გზშ-ის ანგარიშს უნდა ერთოდეს საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, მათ შორის, ტექნოლოგიური ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ტექნოლოგიურ ალტერნატივებში მიმოხილულია მხოლოდ შერჩეული ზეთების გადამამუშავებელი და ალუმინის სადნობი დანადგარები, ხოლო სხვა ტექნოლოგიური დანადგარები განხილული არ არის, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშს დართულ საპროექტო მიწის ნაკვეთის shp ფაილთან ერთად წარმოდგენილია N02.07.02.381 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ფ.პ. ილია ვარამაშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთის shp ფაილი, რაც დოკუმენტში მითითებული არ არის და საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის მე-9 პარაგრაფში წარმოდგენილი უწყვეტი მონიტორინგის სისტემის სქემები წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე. აღნიშნული სქემები წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე;

- გზშ-ს ანგარიშს არ შეესაბამება და კორექტირებას საჭიროებს სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხებზე რეაგირების შესახებ ცხრილში მითითებული პარაგრაფები;
- გზშ-ის ანგარიშს დართულ, სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხებზე რეაგირების შესახებ ცხრილში მითითებულია, რომ საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამის პარაგრაფებში: საწარმოს არსებული მდგომარეობა და ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე, თუმცა აღნიშნულ პარაგრაფებში მითითებული ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. აგრეთვე, წარმოდგენილი არ არის ნედლეულის/ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია და წარმოდგენილია მხოლოდ „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის №216 დადგენილების დანართები (რომლებიც წარმოდგენილია დაბალი რეზოლუციით და არ არის გარჩევადი). ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია 208 ტ/წელ. ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან წარმოქმნილი (ნახერხის, ბურბუშელას, ნათალის) ნარჩენების (კოდით: 03 01 04*) გადამუშავება (აღდგენის ოპერაციის კოდით R12-პალეტირება) და პალეტების წარმოება. დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული სახიფათო ნარჩენის წინასწარი დამუშავების მეთოდი.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო